დამტკიცებულია: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
N 9 დადგენილებით 18.05.2020 წ. ოქმი N 2
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი მ. ბერიძე

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი

თავი I

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო

1. წინამდებარე წესით რეგულირდება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში - პროგრამა) ცალკეული კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისა და შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირებისა და შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის საკითხები, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებისა და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

მუხლი 2. მოთხოვნები შეფასების სისტემის მიმართ

1. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია:

ა) ვალიდურობა;

ბ) სანდოობა;

გ) გამჭვირვალეობა;

დ) სამართლიანობა;

ე) ობიექტურობა.

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია**, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემის ვალიდურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების ინსტრუმენტი, რისთვისაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა შინაარსობრივი კუთხით.

3. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემის სანდოობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების მტკიცებულება, რისთვისაც ხორციელდება მათი შესწავლა შინაარსობრივი კუთხით.

4. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

5. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

6. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის და სამართლიანობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შესწავლის (პირობების ნაწილში), პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურების ან/და შეფასების პროცესზე დასწრების გზით.
7. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.
8. შეფასების სისტემის ობიექტურობის მიზნით შეფასების ობიექტია შეფასების პროცესი, რაც ხორციელდება შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლის გზით.

მუხლი3. შეფასების ორგანიზების პრინციპები
1. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
2. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
3. სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ.
4. შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე მოდულის რამდენიმე სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების ერთდროულად ორგანიზება.
5. ამოღებულია.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის შეფასება
1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
2. განმავითარებელი შეფასება მოდულის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად, მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შესახებ (დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია) წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას.
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4[1]. განმსაზღვრელი შეფასება დადასტურებულად ითვლება სწავლის შედეგების პასუხების 70 % და მეტი გადალახვის შემთხვევაში.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, როგორც პროგრამის დასრულებამდე, ასევე მოდულის მიმდინარეობის პროცესში.
6. წინმსწრები მოდულის შეფასების შედეგების ძირითად ვადაში ვერდადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა არანაკლებ ერთი კვირის და არაუმეტეს ორი კვირის ვადა შეფასების შედეგების დასადასტურებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაიშვება მომდევნო მოდულზე.
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

მუხლი 5. შეფასების მიმართულებები

1. შეფასების მიმართულებებია: პროცესზე დაკვირვება, პროდუქტის/შედეგის შეფასება და გამოკითხვა. პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, გამოკითხვა უფრო თეორიული ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური.
2. პროცესზე დაკვირება გულისხმობს სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების შესრულებას, რომელსაც შემფასებელი აკვირდება. დაკვირვება შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ გარემოში, სადაც სტუდენტს დავალების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობა გააჩნია.
3. პროცესზე დაკვირვება არ გამორიცხავს პრაქტიკული დავალების შესრულებისას შემფასებლის მიერ ზეპირი შეკითხვების დასმას. რათა შემფასებელი დარწმუნდეს, რომ შესაფასებელი პირი ამა თუ იმ მოქმედებას გაცნობიერებულად აკეთებს, რაც ცოდნის ინტეგრირებულად შეფასების შესაძლებლობასაც იძლევა.
4. პროდუქტის/შედეგის შეფასება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების შეფასებას, როდესაც არ არის აუცილებელი პროცესზე დაკვირვება. ამ დროს შესაფასებელი პირის მიერ დავალება სრულდება ნებისმიერ ადგილას, მათ შორის დამოუკიდებლადაც, ხოლო შეფასების ობიექტია საბოლოო პროდუქტი ან შედეგი.
5. გამოკითხვა აკადემიური უნარების შესაფასებლად გამოიყენება. ამ მიმართულებას იყენებენ მაშინ, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნის, აღქმისა და გაგების, ნასწავლის გამოყენების (ტრანსფერის), მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა და შეფასების უნარების განსაზღვრა.
6. გამოკითხვის ზეპირი ფორმით ან პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების გზით შეფასების განხორციელებისას, თუ არ ხორციელდება გამოკითხვის პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა, შეფასების პროცესს მოდულის განმახორციელებელი პირის გარდა სავალდებულო წესით უნდა ესწრებოდეს სხვა პირი, რომელიც არ მონაწილეობდა მოდულის განხორციელებაში.
7. შეფასების ჩატარებისას, სხვა პირის დასწრების მიზანია შეფასების განმჭვირვალეობისა და სამართლიანობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
8. სხვა მასწავლებლის ან დარგის სპეციალისტის დასწრება სტუდენტის შეფასების პროცესზე შესაბამისი მტკიცებულებით (უწყისზე ხელმოწერით) უნდა დადასტურდეს.

მუხლი 6. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების (განმეორებითი შეფასება) პროცედურა

1. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს კალენდარული გეგმით მიხედვით განსაზღვრულ დროს;
2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი (შემდგომში დეპარტამენტი) პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განსაზღვროს განმეორებითი შეფასების დამატებითი ვადები. პროფესიული სტუდენტის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლების რეალიზების საშუალება ერთი შეფასების (ერთი შეფასების ინსტრუმენტი) ფარგლებში უნდა მიეცეს არაუმეტეს ორჯერ.
3. განმეორებითი შეფასების მიზნებისათვის, შესაძლოა შეიცვალოს შეფასების ინსტრუმენტი; სასურველია დახურულ კითხვებში შევიდეს ცვლილება „დაზეპირების“ თავიდან აცილების მიზნით. განმეორებითი შეფასების მიზნებისათვის შეფასების ინსტრუმენტის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოდულის განმხორციელებელი პირი, პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობით.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა

1. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).
2. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას.
3. შესაბამისი ინსტრუმენტის სახეები და შესაქმნელი მტკიცებულებების ფორმა შესაძლოა შეიცვალოს მოდულის

განხორციელების პროცესში, რაც მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ინსტრუმენტის გამოყენებამდე თანხმდება პროგრამის ხელმძღვანელთან. შეთანხმების ფაქტი დასტურდება ინსტრუმენტზე პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერით.

მუხლი 8. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნები და მისი სტრუქტურა

1. შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულოდ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

ბ) მოდულის (მოდულების) სახელწოდება და კოდი (კოდები);

გ) სწავლის შედეგის ნომერი და დასახელება;

დ) შეფასების მიმართულება;

ე) შეფასების ხანგრძლივობა;

ვ) მტკიცებულების სახე;

ზ) შეფასების გარემოს აღწერა;

თ) შეფასებისათვის საჭირო რესურსი;

ი) ამოღებულია;

კ) სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები;

ლ) განმეორებითი შეფასების პირობები.

მ) ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ;

ნ) სხვა სახის ინფორმაცია, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

მუხლი 9. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. ინსტრუმენტის შემუშავებისას სასურველია გათვალისწინებული იყოს შემდეგი ასპექტები:

ა) თითოეული სწავლის შედეგისათვის ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები;

ბ) დავალება გასაგები ენითაა აღწერილი, მოცემულია ზუსტი ინსტრუქტაჟი (გამჭვირვალეობის პრინციპი);

გ) დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად;

დ) აღწერილია შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალები და ინვენტარი;

ე) აღწერილია შეფასების პროცესის პირობები;

ვ) კითხვათა შინაარსი, ასევე დავალებათა შინაარსი და რაოდენობა საკმარისია შერჩეული კრიტერიუმებით განსაზღვრულ კომპეტენციათა დასადასტურებლად (ვალიდურობის პრინციპი);

ზ) დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/ შესრულების მინიმალური ხარისხი;

თ) განსაზღვრულია, თუ რა სახის მტკიცებულებით იქნება;

ი) უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება.

2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი;

3. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესების მართვაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

1. ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას;

2. ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვაზე პასუხისმგებელ პირი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტი. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი

ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, დარგის სპეციალისტი - შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს (ერთი და იმავე დარგის სპეციალისტი ვერ განახორციელებს შეფასების ინსტუმენტის ვალიდაციას და გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას).

3 · ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ცართული იყო არნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

4. შინაარსობრივი მიმართულებით შეფასების ინსტრუმენტების განხილვისას, ვალიდატორები ხელმძღვანელობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, მოდულით და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენენ: შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან;

5. ხარვეზის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია, ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით.

6. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით „ვალიდურია“ ვალიდატორების ხელმოწერით გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნებისთვის. შეფასების ინსტრუმენტის დედანი ინახება სასწავლო პროცესებზე პასუხისმგებელ პირთან.

მუხლი 11. შეფასების მტკიცებულების მოპოვება, გაფორმება და შენახვა

1. შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს;

2. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას.

3. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას.

4. შეფასების მტკიცებულებები (მაგ. მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით;

5. შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა;

6. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

7. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება უნივერსიტეტის ერთიანი საქმისწარმოების შესაბამისად.

8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 12. შეფასების შედეგების გაცნობა

1. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება შეფასების დღეს ან შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების მიმართულებისა და თავისებურების გათვალისწინებით;

2. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვით;

3. დაუშვებელია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოცხადება ჯგუფში, თუ აღნიშნული არ არის შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტებთან;

4. პროფესიულ სტუდენთა მიერ შეფასების შედეგების ჯგუფში გაცნობაზე მიღებული თანხმობის მიუხედავად, დაუშვებელია იმ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოცხადება, რომლებიც შეფასების

შედეგების გამოცხადების დროს არ იმყოფებიან ჯგუფში. ასეთ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად;
5. მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, პროფესიულ სტუდენტთა შედეგები განზოგადებული სახით განიხილოს ჯგუფში და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, შეფასების გაუმჯობესების მიმართულებით.

მუხლი 13. მიღებული შეფასების გასაჩივრება (აპელაცია)
1. უნივერსიტეტის ძირითადი დანიშნულებაა სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფა. საჩივრების ეფექტური სისტემის არსებობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და აღმოფხვრის ძირითადი მექანიზმია.
2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, შეფასებასთან დაკავშირებით გაასაჩივროს ორი კომპონენტი: ა) შეფასების ობიექტურობა და შედეგი, ბ) შეფასების პროცედურა.
3. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია მიღებული შეფასებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, შესაბამისი განცხადებით მიმართოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს (შემდგომში დეპარტამენტის უფროსი), რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტულად რომელი საგამოცდო საკითხის შეფასებას არ ეთანხმება.
4. თავდაპირველად საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა სასწავლო მოდულის განმახორციელებელი პირს 2 სამუშაო დღის ვადაში.
5. მოდულის განმახორციელებელი პირი, ვალდებულია, სტუდენტთან ერთად 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შესრულებული ნამუშევარი და მისცეს მას ამომწურავი პასუხი მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.
6. შეფასების ცვლილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოდულის განმახორციელებელი პირი, ვალდებულია დეპარტამენტის უფროსს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტუდენტის შეფასების ცვლილების შესახებ, სადაც უნდა დაფიქსირდეს ცვლილების მიზეზი;
7. სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას.
8. დეპარტამენტის უფროსს, უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.
9. საჩივრის განხილვის მიზნით დეპარტამენტის უფროსის მიერ განისაზღვრება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში.
10. დროებითი სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი ან დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის გამსწორებელი.
11. დროებითი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
12. დროებითი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

მუხლი14. საკვალიფიკაციო გამოცდა
1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ შემთხვევებში, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;
3. საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა უზრუნველყოფდეს როგორც ცოდნის, ისე უნარების ან/და კომპეტენციების

ჰოლისტიკურ შეფასებას. გამოცდა გრძელდება არა უმეტეს ოთხი საათისა.
4. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება ხორციელდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიასთან შეთანხმებით. საგამოცდო საკითხები იდენტურია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.
4[1] . პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- თეორიული გამოცდა;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- პროექტის პრეზენტაცია;
- სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

4[2]. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება რექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა როგორც პირდაპირი, ისე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით;

5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მას საშუალება ექნება განმეორებით გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
9. განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მას უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და გაიცემა ცნობა გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ;
10. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრება ხორციელდება მე-13 მუხლის შესაბამისად.
11. დაუშვებელია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.
12. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
13. ტესტირების შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდის აღნიშნული ნაწილი სტუდენტის მიერ წარმატებით ჩაბარებულად ითვლება პროცენტული ზღვრის (სულ მცირე 75% და მეტი) გადალახვის შემთხვევაში.
14 პრაქტიკული დავალების შემთხვევაში, საკვალიფიკაციო გამოცდის აღნიშნული ნაწილი წარმატებით ჩაბარებულად ითვლება პრაქტიკული დავალებისთვის შექმნილ შეფასების ინსტრუმენტში არსებული ყველა კრიტერიუმის დადასტურებისას.

მუხლი 15. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია

1. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია იქმნება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე და მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც განსაზღვრულია კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
მასში შესაძლოა შედიოდნენ:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ბ) დამსაქმებელთა ან/და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები;

გ) სხვა მოწვეული პირები, მათი კომპეტენციის შესაბამისად.
2. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში არ უნდა შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა პროფესიული სტუდენტის სწავლების პროცესში.

3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ატყობინებს დეპარტამენტის უფროსს, რის შემდეგაც რექტორის მიერ გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
5.კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
6. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს;
7. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;
8. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებულ ექნათ შესაბამისი საფეხურის/დონის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
9. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც სავალდებულოდ ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
10. კომისიის მიერ წარმოდგენილი ოქმი არის კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველი.
11. ოქმის საფუძველზე გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი შესაბამისი პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
12. მონაცემები არაუგიანეს ხუთი დღისა აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ელექტრონულ სისტემაში.
13. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;
14. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დეპარტამენტი.
15. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას პერსონალურ მონაცემთა დაცვით.
16. პროფესიულ სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობით (ელ. ფოსტაზე) გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
17. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 16. კვალიფიკაციის მინიჭება

1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს დადგენილი წესით ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად მე-3/მე-4/მე-5 დონის კვალიფიკაცია.
2. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება.
3. პროფესიულ სტუდენტს დეპარტამენტიის უფროსის წარდგინებით კვალიფიკაცია ენიჭება რექტორის სამართლებრივი აქტით. პროფესიული კვალიფიკაცია ასახავს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონეს, რომელიც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით – დიპლომი, დანართთან ერთად და სერტიფიკატი.

4. კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. პირს, რომელმაც არ ან/და ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, სურვილის შემთხვევაში ეძლევა სათანადო დოკუმენტი გავლილი მოდულების და დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
6. კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში.

მუხლი17. ამოღებულია. (აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერი დადგენილება N44)

თავი II

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება

მუხლი 18. ტერმინთა განმარტება

1. ამ თავის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულები – „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;

ბ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომ – პორტფოლიო) – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს სასწავლო თემებისა და პრაქტიკული დავალებების მიხედვით;

გ) პრაქტიკული დავალება – პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის მეშვეობითაც სწავლის შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შემოწმება მის მიერ შესრულებული სამუშაოს/ნამუშევრის შეფასების გზით;

დ) თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლისფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

ე) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია – შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;

ვ) ვერიფიკაცია – დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზ) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასების კონვერტაცია - შეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების კონვერტაცია დიფერენცირებულ განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისთვის (შემდგომ – შეფასების კონვერტაცია);

მუხლი 19. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები

1. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.

2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:

ა) ვალიდური;

ბ) სანდო;

გ) გამჭვირვალე;

დ) სამართლიანი;

ე) ობიექტური.

მუხლი 20. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.

2. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადიმოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.

2[1]. დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია შესაძლებელია ამავე მუხლის მე-7-მე-9 პუნქტების შესაბამისად.

3. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

4. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.

5. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

5[1]. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის დასრულებისთანავე, ამ წესის დანართით გათვალისწინებული ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით.

5[2]. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) მოდულის ქულა – პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება;

ბ) საფეხურის ქულა – პროგრამაში ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

5[3]. მიმართვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია, მიმართვიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ამავე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამსახველი დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე პრაქტიკულ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (პრაქტიკული დავალებების საშუალებით).

7. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე პრაქტიკული დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი პრაქტიკული დავალებით შეფასება.

8. პრაქტიკული დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.

9. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება.

10. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზება, მის მიერ დადგენილი წესით.

11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პრაქტიკული დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.

12. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

13. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;

დ) თემის დასახელება

ე) პრაქტიკული დავალების შინაარსი და ნომერი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების შესრულების მტკიცებულება;

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

თ) პრაქტიკული დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

14. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.

15. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი, ამ წესის დანართის შესაბამისად შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.

მუხლი 21. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება

1.პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის

შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.

3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 22. დადასტურების კომისია

1. დადასტურების კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

3. დადასტურების კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან.

4. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. დადასტურების კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან.

5. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

7. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.

მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესისა და შეფასების კონვერტაციის შესაძლებლობის თაობაზე.

მუხლი 24. დადასტურების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, შეფასებასთან დაკავშირებით გაასაჩივროს ორი კომპონენტი: ა) შეფასების ობიექტურობა და შედეგი, ბ) შეფასების პროცედურა.

2. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიღებული შეფასებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, შესაბამისი განცხადებით მიმართოს რექტორს, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტულად რომელი კომპონენტის შეფასებას არ ეთანხმება.
3. თავდაპირველად საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა დადასტურების კომისიას 2 სამუშაო დღის ვადაში.
4. დადასტურების კომისია ვალდებულია, პროფესიულ სტუდენტთან ერთად 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს გასაჩივრებული კომპონენტი და მისცეს მას ამომწურავი პასუხი მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.
5. შეფასების ცვლილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დადასტურების კომისია ვალდებულია, გადაწყვეტილებაში მიუთითოს სრული ინფორმაცია სტუდენტის შეფასების ცვლილების შესახებ, სადაც უნდა დაფიქსირდეს ცვლილების მიზეზი;
6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას.
7. თუ პროფესიული სტუდენტი მაინც არ ეთანხმება დადასტურების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, საჩივრის განხილვის მიზნით რექტორის მიერ იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ ხუთი წევრისაგან, განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში.
8. დროებითი სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი ან დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის იმ დადასტურების კომისიის წევრი რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება.
9. დროებითი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
10. დროებითი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

(დანართი №1).

არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება	დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება		
	ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
აბსტრაქტული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბაზისური ცნებების სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან; იდეების გადატანა ახალ კონტექსტში; ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.	აბსტრაქტული დონე გათანაბრებულია დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების სკალის უმაღლეს ქულასთან -10.		
მიმართებითი დონე პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.	10	მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
	9		
პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.	8	საშუალოზე მაღალი	პროფესიული სტუდენტი საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის
	7		

პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.			გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
	6	საშუალო	პროფესიული სტუდენტი მსჯელობს საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
	5		
მულტისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტის გამოკვეთა განცალკევებით; მათ შორის კავშირისა და მიმართებების ჩვენების გარეშე.	4		
უნისტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა; მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება.	3 2	დაბალი	პროფესიული სტუდენტის მსჯელობა საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.
პრესტრუქტურული დონე პროფესიულ სტუდენტი საკითხზე მსჯელობისას იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	1		

შეტანილი ცვლილებები:

1. აკადემიური საბჭოს 2020 წლის 04 ნოემბერი დადგენილება N44
2. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით N34 (ოქმი N8)
3. აკადემიური საბჭოს 2023 წლის 22 მაისის დადგენილება N15 (ოქმი N4)
4. აკადემიური საბჭოს 2024 წლის 05 დეკემბრის დადგენილება N1564766 (ოქმი N10)
5. აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის დადგენილება N732008 (ოქმი N6)
6. აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 ნოემბრის დადგენილება N 1557469
7. აკადემიურუი საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის დადგენილება N502831 (ოქმი N4)